# საქართველო
## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 32 30 მაისი 2023 წელი

### სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, რომელიც მოსმენილი და შეფასებულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 30 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია